საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კბილთეთრა

კბილთეთრა (Crocidura), ძუძუმწოვრების გვარი ბიგასებრთა ოჯახისა. მათი სხეულის სიგრძეა 4–10 სმ. ბინადრობს უმთავრესად აფრიკაში, აგრეთვე ევროპასა და აზიაში. 179 სახეობიდან ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი კ-ს ორი სახეობაა გავრცელებული: კავკასიური კ. (C. gueldenstaedtii) და თეთრმუცელა კ. (C. leucodon). ბინადრობს ტყეში, ბუჩქნარში, ბაღებში, მთის ხევებსა და ხრამებში, ზოგჯერ ადამიანის სამოსახლოს მახლობლად. გავრცელებულია ზ. დ. 2200 მ-მდე. იკვებება მწერებით, მათი მატლებით, მოლუსკებით, რითაც მნიშვნელოვანი სარგებლობა მოაქვს.